



მიტროპოლიტი ილარიონი: პატრიარქმა ბართლომეოსმა კანონიკური ცნობიერება სრულიად დაკარგა



რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის 23-24 სექტემბრის სხდომებზე პატრიარქმა კირილემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების მთავარ ამოცანათა შორის არის მუშაობა მსოფლიო მართლმადიდებლობაში განხეთქილებების დასაძლევად, რომლებიც წარმოშობილია „კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს უგუნური შეჭრით უკრაინაში“. პროგრამის, „ეკლესია და მსოფლიო“, წამყვანის თხოვნით, სსკგ-ს მეთაურმა მიტროპოლიტმა ილარიონმა განმარტა უკანასკნელი სინოდის რიგი გადაწყვეტილებები.

„კონსტანტინეპოლის პატრიარქმა ბართლომეოსმა აღიარა უკრაინელი სქიზმატიკოსები და კალმის ერთი მოსმით ისინი ვითომ ლეგიტიმურ „უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიად“ აქცია. ამ უკანონო და ანტიკანონიკურ ქმედებას რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია არ დაეთანხმა მთელი რიგი მიზეზების

გამო, რომელთაგან მთავარი ისაა, რომ ამ ადამიანებს კანონიკური ქიროტონია არ გააჩნიათ“, – დააზუსტა მიტროპოლიტმა ილარიონმა.

ამჟამინდელი ეპისკოპოსების ლეგიტიმურობა, რომლებიც ეკლესიაში მსახურობენ, მხოლოდ სამოციქულო მემკვიდრეობის ფაქტს ეფუძნება; სახელდობრ – ეს არის ხელთდასახმების ჯაჭვი, რომელიც მოციქულებიდან უწყვეტად მოვიდა ამ ეპისკოპოსებამდე. ამასთან, არსებობს წესი, რომ ეპისკოპოსის ხელთდასახმა შეუძლია მინიმუმ ორ ან სამ ეპისკოპოსს. თუ ადამიანი არ არის ხელთდასახმული ორი ეპისკოპოსის მიერ ან ხელთდასახმულია ორი არაეპისკოპოსის მიერ, მაშინ მისი ხელთდასახმა ნამდვილი არ არის. უკრაინულ განხეთქილებაში ხელთდასახმის სწორედ ეს მეთოდი გამოიყენეს. იქ იყო თვითმარქვია, რომელიც თავს ეპისკოპოსად წარმოაჩინდა (სინამდვილეში ის იყო გაქცეული დიაკონი) და იყო ხარისხამორთმეული ეპისკოპოსი, – ამ ორი ავანტიურისტიდან წამოვიდა უკრაინული განხეთქილების ერთ-ერთი შტოს ეგრეთ წოდებული „იერარქია“: „პატრიარქმა ბართლომეოსმა ეს თვითნაკურთხები ეპისკოპოსების ხარისხში აღიარა. უფრო მეტიც, მრავალმილიონიანი უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც მოსკოვის საპატრიარქოს შემადგენლობაში შედის, პატრიარქმა ბართლომეოსმა თავისი კალმის ერთი მოსმით ვითომ გააუქმა, და მისი უფლებები სქიზმატურ სტრუქტურას გადასცა, და ახლა ცდილობს, უკრაინის ხელისუფლების დახმარებით მიაღწიოს, რომ ამ სქიზმატურ სტრუქტურას კანონიკური ეკლესიის ქონება გადაეცეს“.

მთელი ეს საქმიანობა იმდენად უკანონოა, იმდენად უგუნურია, – როგორც უწმინდესმა პატრიარქმა კირილემ თქვა, – რომ ისინი მოწმობენ იმას, რომ პატრიარქმა ბართლომეოსმა კანონიკური ცნობიერება სრულიად დაკარგა. უფრო მეტიც, მან დაკარგა წარმოდგენა იმის შესახებ, რომ მოქმედება მართებს სხვა ადგილობრივ ეკლესიებთან თანხმობით. ამ ალბულ შემთხვევაში კი ის მოქმედებდა არათუ სხვებთან შეუთანხმებლად, არამედ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მკაფიოდ გამოხატულ პოზიციის საწინააღმდეგოდაც“, – განაცხადა მეუფე ილარიონმა.

თავისი საქმეების გამო პატრიარქი ბართლომეოსი „ალარ არის პირველი თანასწორთა შორის ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების ოჯახში, რადგან მოინდომა პირველობა თანასწორთა გარეშე. ასეთი რამ კი ჩვენს მართლმადიდებლურ ტრადიციაში არ ხდება. როგორც ჩვენმა წმინდა სინოდმა განაცხადა, მან დაკარგა უფლება, იწოდებოდეს პლანეტის 300 მილიონი მართლმადიდებელი მოსახლეობის სულიერ ლიდერად. ის უკვე აღარ წარმოადგენს მსოფლიო მართლმადიდებლობას, არამედ წარმოადგენს მხოლოდ საკუთარ ეკლესიას და, შესაძლებელია, იმ ეკლესიებს, რომლებიც მოისურვებენ, რომ მან ისინი წარმოადგინოს. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია კი ამ ეკლესიების რიცხვს არ მიეკუთვნება“, – რეზიუმირება მოახდინა მიტროპოლიტმა ილარიონმა.

სსკვ-ს კომუნიკაციების სამსახური